

ნინო შარაშენიძე

# როგორ ვწავროთ უკეთესად

სავარჯიშოების კრებული

I ნაწილი

(VII კლასი)



ნინო შარაშენიძე

როგორ ვწავროთ უკეთესად  
სავარჯიშოების კრებული

I ნაწილი  
(VII კლასი)

რედაქტორები

ლალი ბაქრაძე  
სოლომონ ნოზაძე  
ანა ჭაბაშვილი  
ლალი ქადაგიძე

გარეკანის დიზაინი  
გიორგი ტაბლიაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2009

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-138-9  
ISBN 978-9941-11-139-6 (I ნაწილი)

გამომცემლობა „დიოგენე“  
თბილისი, კეკელიძის ქ. 6  
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71  
[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

**ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი –  
სამაგიდო წიგნი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის!**

პროფესიონალთა მიერ მომზადებულ ამ აკადემიურ გამოცემაში ასახულია სკოლაში შესასწავლი, საპროგრამო ლიტერატურული ტექსტების ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

ლექსიკონი შეიცავს 8000-ზე მეტ სიტყვასა და იდიომატურ გამოთქმას.

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“ დაეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი ტექსტების აღქმასა და გაგებაში, გაუმდიდრებს მათ ლექსიკურ მარაგს და განუვითარებს მშობლიური ენის გრძნობასა და სიყვარულს.

ლექსიკონი შეადგინა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ ბეროზაშვილმა.


რედაქტორი – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული.

გამომცემლობა „დიოგენე“ გთავაზობთ ლექსიკონის მეორე განახლებულ და შევსებულ გამოცემას, რომელშიც შესულია ბოლო წლებში გამოსული სახელმძღვანელოების მასალა.

ლექსიკონის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:

ტელ.: 95 63 94; 96 79 71

მობ.: 899 97 60 30; 877 47 89 76; 855 21 77 27





## წინასიტყვაობა

„როგორ ვწეროთ უკეთესად“ სავარჯიშოების კრებულია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს გრამატიკული საკითხების ათვისებასა და მართლწერის პრინციპების გათავისებებაში. ამ სერიის ერთი კრებული (უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის) უკვე რამდენიმე წელია, წარმატებით გამოიყენება საქართველოს სკოლებში.

გამომცემლობა „დიოგენე“ ვთავაზობთ ახალ 3-ნაწილიან კრებულს იმავე სათაურით საბაზო სკოლის მოსწავლეებისათვის, თუმცა მისი გამოყენება შეუძლია ყველას, ვისაც სურს, უკეთესად წეროს.

კრებულის I ნაწილი საბაზო სკოლის I საფეხურისთვის (VII კლასისათვის) არის განსაზღვრული. იგი ექვსი თავისგან შედგება და ძირითადად იმ საკითხებს მოიცავს, რომლებიც განხილულია მოსწავლის წიგნში რუბრიკით „ენის სამყაროში“. ყურადღება გამახვილებულია **მორფოლოგიის** საკითხებზე, კერძოდ სახელებზე, განხილულია **ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სტილის** ზოგიერთი ასპექტი. დანიშნულების მიხედვით, მასალა რამდენიმე რუბრიკაშია განაწილებული: რუბრიკით „ვიმეორებთ“ მოცემულია კონკრეტული საკითხის მოკლე განმარტება, ბრუნების ნიმუშები, ცხრილები და სხვ., რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, გაიმეოროს ეს საკითხი და შეასრულოს სავარჯიშოები. ეს სავარჯიშოები წარმოდგენილია რუბრიკაში „**ვწერთ სწორად**“; რუბრიკა „**გავაქტიუროთ ცოდნა**“ მოსწავლეს სთავაზობს ტექსტს, რომელშიც განზრახ დაშვებულია რამდენიმე შეცდომა. მან უნდა იპოვოს ისინი და გაასწოროს.

სასვენი ნიშნები ყოველთვის პრობლემა იყო მოსწავლეთათვის და პრობლემადვე რჩება. მომდევნო რუბრიკა – „**ოჰ, ეს სასვენი ნიშნები!**...“ სწორედ ამ პრობლემის დაძლევის შეუწყობს ხელს. მცირედენ განმარტებასთან ერთად აქ მოცემულია წინადადებები და ტექსტები, რომლებშიც მოსწავლემ შესაბამისი სასვენი ნიშნები უნდა დასვას.

კრებულში ისიც გათვალისწინებულია, რომ მოსწავლეებს საკმაოდ მწირი ლექსიკური მარაგი აქვთ და ცუდად იცნობენ ფრაზეოლოგიზმებს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მათ მრავალფეროვან სავარჯიშოებს ვთავაზობთ რუბრიკებით: „**ლექსიკა – სიტყვები... სიტყვები... და „ფრაზეოლოგია**“. აქ მოცემული სავარჯიშოები აგებულია როგორც სიტყვისა და ფრაზეოლოგიის მნიშვნელობის ცოდნაზე, ისე შესაბამის კონტექსტში მათი გამოყენების უნარის შემოწმებაზე. ეს სავარჯიშოები დაეხმარება მოსწავლეს ლექსიკის გამდიდრებასა და წერიტი და ზეპირმეტყველების გაუმჯობესებაში.

რუბრიკაში „**სტილისტური პრობლემები**“ შემოთავაზებულია სტილისტური

შეცდომების დასაძლევად გამიზნული სავარჯიშოები; რუბრიკა „**ვწერთ ოფიციალური ენით**“ მოსწავლეს გააცნობს ენობრივ საშუალებებსა და ნიმუშებს ოფიციალური დოკუმენტების შესაქმნელად. აქვე მოცემულია მრავალფეროვანი დავალებები იმისათვის, რომ მოსწავლეს ასეთი დოკუმენტების სწორად შედგენის ჩვევა გამოუმუშავდეს.

წერიტი დავალებებია წარმოდგენილი რუბრიკაში „**ვწერთ თავისუფლად თავისუფალ თემაზე**“. მოსწავლეს საშუალება ეძლევა, თავისუფლად იაზროვნოს და იმსჯელოს რუბრიკაში მოცემულ საკითხებზე.

რუბრიკით „**შევამოწმოთ ჩვენი ცოდნა**“ მოსწავლეს ვთავაზობთ ტესტებს, რომლებითაც ის თავის ცოდნას შეამოწმებს.

კრებულის ბოლოს მოცემულია სავარჯიშოებისა და დავალებების პასუხები და ლექსიკონი.

სავარჯიშოების კრებულის II და III ნაწილებს (VIII კლასისათვის) მომავალში შემოგთავაზებთ. II ნაწილი კვლავ დაუბრუნდება მორფოლოგიის საკითხებს – საფუძვლიანად დამუშავდება ზმნა და ზმნის მართლწერა, III ნაწილი კი (IX კლასისათვის) მოსწავლეს დაეხმარება სინტაქსის საკითხების ათვისებაში.



# I ტავი

## I. არსებითი სახელის გრუნების ნიშები

### ვიმეორებთ

გრუნები				
სახელობითი	ექიმ-ი	ხავს-ი	სტუმარ-ი	დროშა
მოთხრობითი	ექიმ-მა	ხავს-მა	სტუმარ-მა	დროშა-მ
მიცემითი	ექიმ-ს	ხავს-ს	სტუმარ-ს	დროშა-ს
ნათესაობითი	ექიმ-ის	ხავს-ის	სტუმარ-ის	დროშ-ის
მოქმედებითი	ექიმ-ით	ხავს-ით	სტუმარ-ით	დროშ-ით
ვითარებითი	ექიმ-ად	ხავს-ად	სტუმარ-ად	დროშ-ად
წოდებითი	ექიმ-ო	ხავს-ო	სტუმარ-ო	დროშა-ვ

### ვწერთ სწორად

1. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომა, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ, რომელია სწორი ფორმა და რატომ:
  - ა) 1. ექიმა კარგი დანიშნულება მომცა და ორ დღეში გამოვჯანმრთელდი.
  2. მერი მასწავლებელათ უკვე ოცი წელია მუშაობს.
  3. ეს ნახატი მამაჩემა და დედაჩემა მაჩუქეს დაბადების დღეზე.
  4. უფროს უნდა დაუჯერო!
  5. ეს ჩვენი სოფელის ნობათია!
  6. ნანა 7 მაის არის დაბადებული თუ 7 ივნის?
  7. ამაღამ ვახშამად რა გვაქვს? – ჰკითხა ლუარსაბმა დარეჯანს.
  8. ირემა რაღაც ხმაური გაიგონა და ყურები ცქციტა.
  9. ეს კერძი ცხვარის ხორციტაა გაკეთებული?
  10. მე არაფერი მომიპარავს, სინდის გეფიცებით! – ყვიროდა ახალგაზრდა.
- ბ) 1. სანდროს ძალიან უყვარს ქათამის ხორცი.
2. გემა ნაპირისაკენ აიღო გეზი.
3. მზეს სხივზე ნამი აელვარდა.
4. ირაკლი ახალ ტანისამოს ჩაიცვამს.
5. ბიჭები თუთას ხეს ქვეშ ისხდნენ და ერთმანეთს სასაცილო ამბებს უყვებოდნენ.
6. პატარების მიერ მოწყობილმა ზეიმა ძალიან გაგვახარა.
7. ახალგაზრდა ხელმწიფეთი ყველა კმაყოფილი იყო, ქვეყანას კარგად მართავდა და ხალხსაც ძალიან უყვარდა.
8. ეს წიგნი ჩემი მეზობელისაა და ხვალ უნდა დავუბრუნო.
9. ლომა დაიღრიალა და თავის ბოკვერს დაუნყო ძებნა.
10. დედაჩემა გვერდით გამიხმო და მითხრა: ჩვენი მესპინძელის შვილს შენთან საუბარი უნდა და დაელაპარაკო.

2. ჩასვით მოცემული სახელი შესაბამის ბრუნვაში და დაწერეთ სწორი ფორმით:

- ა) 1. ამ ----- ტარი ცნობილ ოსტატს დაუმზადებია XIX საუკუნეში. (ხანჯალი)  
 2. ----- წვენი ძალიან სასარგებლოა ბავშვებისათვის. (ალუბალი)  
 3. ეს საზეიმო საღამო ----- მოაწყო. (ბიძაჩემი)  
 4. ----- დაკეტვა არ დაგავიწყდეს! – მიაძახა მამამ შვილს. (ჭიშკარი)  
 5. საიუბილეო საღამო დანიშნულია 15 ----- . (ივლისი)  
 6. ბიძაშენი ----- მუშაობს სკოლაში თუ -----? (დირექტორი, მასწავლებელი)  
 7. ავტობუსი რამდენიმე წუთში მიუახლოვდება ----- . (ქუთაისი)  
 8. მძიმედ დატვირთულმა ----- ჭრიალი დაიწყო. (ურემი)  
 9. ამ ----- ზეპირად ისწავლი ზეიმისათვის? (ლექსი)  
 10. რამდენიმე ----- ისეთ ნერვიულობაში გაიარა, თითქოს რამდენიმე საათი გაგრძელებულიყო. (წამი)
- ბ) 1. ----- არ გაკვირვებია სტუმრების ასე გვიან მოსვლა. (დიასახლისი)  
 2. ----- კალაპოტი დიდმა წვიმებმა შეცვალა. (მდინარე)  
 3. ამ ----- ვერ დავხატავ, წვერი არ აქვს. (ფანქარი)  
 4. ეს პატარა გოგონა ჩვენი ----- შვილია. (მებაღე)  
 5. ეს ნედლი ხეა და ----- არ გამოდგება. (შეშა)  
 6. ერთი ----- ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. (ანდაზა) (მერცხალი)  
 7. დილით ----- ყივილმა გააღვიძა სტუმარი. (მამალი)  
 8. ამ ----- რის გაკეთებას აპირებ? (ფიცარი)  
 9. ----- წელს საერთოდ არ მოისხა. (ჭერამი)  
 10. რამდენიმე ----- ეს საკითხი კარგად აქვს შესწავლილი. (ისტორიკოსი)

3. მიუწერეთ მოცემულ სახელებს მითითებული ბრუნვის ფორმები:

ა)

სახელი	მოთხრობითი	მცემითი	ვითარებითი
ლომი			
თბილისი			
რომი			
ჯამი			
ინგლისი			
სახნისი			
ბორჯომი			
თასი			
კლასი			
შხამი			
საღამი			
ნემსი			
აქლემი			
ანკესი			
სურამი			
წამწამი			
ფიზიკოსი			
ცომი			
თხილი			
სკამი			
ხალისი			
ომი			



ბ)

სახელი	ნათესაობითი	მოქმედებითი	ვითარებითი
მსხალი			
აკვანი			
მკვლევარი			
შველი			
მამალი			
ტყე			
მინა			
მაგიდა			
სუფრა			
მგელი			
წყალი			
მხატვარი			
ნამგალი			
აივანი			
მასპინძელი			
კალამი			

## II. საკუთარი სახელის ბრუნვის ნიმუში

### ვიმეორებთ

ბრუნვები				
სახელობითი	გურამ-ი	გიორგი	მარიამ მაჩაბელ-ი	ბატონ-ი დავით-ი
მოთხრობითი	გურამ-მა	გიორგი-მ	მარიამ მაჩაბელ-მა	ბატონ-მა დავით-მა
მიცემითი	გურამ-ს	გიორგი-ს	მარიამ მაჩაბელ-ს	ბატონ დავით-ს
ნათესაობითი	გურამ-ის	გიორგი-ს	მარიამ მაჩაბლ-ის	ბატონ-ი დავით-ის
მოქმედებითი	გურამ-ით	გიორგი-ით	მარიამ მაჩაბლ-ით	ბატონ-ი დავით-ით
ვითარებითი	გურამ-ად	გიორგი-დ	მარიამ მაჩაბლ-ად	ბატონ დავით-ად
წოდებითი	გურამ	გიორგი	მარიამ მაჩაბელ-ო	ბატონ-ო დავით

- ადამიანის საკუთარი სახელი არც იკუმშება და არც იკვეცება;
- იკუმშება მხოლოდ ორი გვარი: **წერეთელი, მაჩაბელი (წერეთლის, მაჩაბლის...);**
- -ძე-ზე დაბოლოებული გვარები იკვეცება (ბაქრაძის...);
- -ა-ზე, -უა-სა და -ვა-ზე დაბოლოებული გვარები მხოლოდობით არ იკვეცება, მრავლობითში – იკვეცება (გაგუასი, გაგუები...);
- გეოგრაფიული (ადგილის) სახელები ისე იბრუნვის, როგორც სათანადო ფუძის საზოგადო არსებითი სახელები, მაგრამ მათ არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმა;
- მიმართვისას აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ საკუთარი სახელის ფუძე.
- ფუძის გასაგებად საკუთარ სახელს შეიძლება დავურთოთ გვარი (ოთარ გეგეშიძე, ფუძეა **ოთარ**).
- სიის შედგენისას სახელი ფუძის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, წინადადებაში კი ის შესაბამისი ბრუნვის ფორმაში ჩაისმება.

## 35 ერთ სწორად

4. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომა, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ, რომელია სწორი ფორმა და რატომ:

1. ბატონ ნოდარმა ძალიან კარგი მოხსენება წაიკითხა.
2. ეს ჩანთა სალომისაა.
3. ეთერო, აქ მოდი, შენ გელოდები!
4. აკაკი წერეთელის „ჩემი თავგადასავალი“ ანას უსაყვარლესი წიგნია.
5. ვალერმა ძალიან კარგად წარმოთქვა ლექსი.
6. ეს ნახატი თამაზიმ მაჩუქა.
7. მე ვუთხარი ოთარის, რომ არ უნდა დაეგვიანა და მაინც დააგვიანა.
8. ნესტან-დარეჯნის სახე „ვეფხისტყაოსანში“ მეტად მნიშვნელოვანია.
9. ეს ყვავილები ვახტანგიმ მოგვართვა.
10. როდის არის ქალბატონ ქეთევანის დაბადების დღე?

5. დაწერეთ მოცემული საკუთარი სახელების ბრუნვის ფორმები:

საკუთარი სახელი	მოთხრობითი	მიცემითი	ნათესაობითი	წოდებითი
ანასტასია				
ანტონი				
ანდრია				
აპოლონი				
არჩილი				
არმაზი				
ასლანი				
ალისა				
ანანო				
ანეტა				
ასმათი				
ბაბილინა				
ბარბარე				
ბელა				
ბორენა				
ბააკა				
ბარამი				
ბაქარი				
ბაჩანა				
ბერდია				
ბიძინა				
ბორისი				
გვარამი				
გიული				
გურანდუხტი				

6. ჩასვით წინადადებაში საკუთარი სახელი სწორი ფორმით:

1. მე ძალიან მინდოდა ----- გამოფენის დათვალიერება (ბატონი არჩილ გომიაშვილი).
2. ----- ძალიან კარგი მოხსენება წაიკითხა და მისი ხელმძღვანელიც კმაყოფილი იყო (ვამეხი).
3. ----- ლექსები ჟურნალში წავიკითხე და ძალიან მომეწონა. (ქალბატონი ელისაბედ მაღალაშვილი).
4. ეს წიგნი ვისია? – ----- (ელიზბარი).
5. რატომ არ მითხრა -----, თუ საფეხბურთო შეხვედრა ხვალისთვის იყო დანიშნული? (ბატონი ვიტალი).
6. ----- თავი დამნაშავედ იგრძნო და ბოდიშიც მოიხადა (ზაალი).
7. ----- განცხადება დღეს გადაეცა სკოლის დირექტორს (ქალბატონი თინათინი).
8. ----- სოფელი ხევსურეთშია და ყოველ ზაფხულს იქ მიდის (თორღვა).
9. ამ ფილმის გმირმა, -----, მაყურებელი აღფრთოვანებული დატოვა (მზევინარი).
10. ----- ძალიან კმაყოფილი არიან უცხოელი ბიზნესმენები, მისი გამოგონება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა (ბატონი თეიმურაზი).

7. გაასწორეთ შეცდომები:

1. ნიკა და გურამ მაჩაბელები ძმები არიან.
2. მოსაცდელში მშობელი გელოდებათ. – ვისი მშობელია? – მარიამ გაბუნის.
3. ბატონო ნოდარი, თქვენ როდის იქნებით თავისუფალი?
4. ლევანი, მალე ამოდი სახლში, სტუმრები გელოდებიან!
5. წერეთელები ძირითადად საჩხერის რაიონში ცხოვრობენ.
6. ეთერო მამიდა ახლა გერმანიაშია.
7. ეკო, მალე მოხვალ სახლში?
8. მარიამ მიქაძეს დაბადების მოწმობა სკოლის სამდივნოში არ არის და სასწრაფოდ უნდა მოიტანოს.
9. გაგნიძევ, ნუ ლაპარაკობ, მომისმინე!
10. აბრამიშვილი, რატომ არ დაესწარი წრის შეკრებას?

### III. ორი სახელის ერთად პრუნება

#### ვიკიორკით

ბრუნვები			
სახელობითი	ექიმი დავით ბერიძე	მეუფე დავითი	მამა დავითი
მოთხრობითი	ექიმმა დავით ბერიძემ	მეუფე დავითმა	მამა დავითმა
მიცემითი	ექიმ დავით ბერიძეს	მეუფე დავითს	მამა დავითს
ნათესაობითი	ექიმ დავით ბერიძის	მეუფე დავითის	მამა დავითის
მოქმედებითი	ექიმ დავით ბერიძით	მეუფე დავითით	მამა დავითით
ვითარებითი	ექიმ დავით ბერიძედ	მეუფე დავითად	მამა დავითად
წოდებითი	ექიმო დავით ბერიძე	მეუფე დავით	მამაო დავით

**შენიშვნა:** მიმართვის ფორმა „მამაო დავით“ გავრცელებულია სასაუბრო მეტყველებაში, თუმცა გრამატიკული ნორმის მიხედვით სწორ ფორმად მიჩნეულია „მამა დავით“.

## **35ერი სწორად**

**8.** იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომა, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ, რომელია სწორი ფორმა და რატომ:

1. მხატვარ ნიკო ფიროსმანმა არაერთი მნიშვნელოვანი და მსოფლიოში ცნობილი ნახტი შექმნა.
2. მამაო მიქაელმა აღსარების დღე ხუთშაბათი დანიშნა.
3. სამდივნოში შემოვიდა სტუდენტის მაია მიქაძის განცხადება.
4. პროფესორი ბალავაძის ლექცია ხვალ ჩატარდება.
5. მამაო გრიგოლის ქადაგებას ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება.
6. მწერალი ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები ძალიან საინტერესოა.
7. პოეტი აკაკი წერეთლით მთელი საქართველო ამაცობს.
8. პროფესორი ნატალია გაგნიძის ახალი ნიგნი საინტერესოა არამარტო სტუდენტებისათვის, არამედ ყველა მკითხველისათვის.
9. მამაო კონსტანტინეს ქადაგება გუშინ მოვისმინე პირველად და ძალიან მომეწონა.
10. პარლამენტარი გეგეშიძის გუშინდელი გამოსვლა მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

## **გავააქტიუროთ ცოდნა**

**9.** იპოვეთ ტექსტში შეცდომები და გაასწორეთ:

ყურძენი სრულიათ დამსახურებულათ ითვლება ნოყიერ, სამკურნალო კვების პროდუქტათ. მასში დიდი რაოდენობით არის ვიტამინები. ყურძენის მარცვალეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფერით, ფორმით და ზომით, ზოგი მათგანი მოგრძო ფორმისაა, უმეტესობა კი მრგვალი. იგი იყოფა საღვინე, საქიმშიშე და სასუფრე ყურძენებად. სამურაბეთ კარგია თეთრი მსხვილმარცვლიანი ყურძენი.

## **ოჰ, ის სასვენი ნიშნები!..**

სასვენი ნიშნები დაწერილი ტექსტის აზრის გაგებაში გვეხმარება. მათი ხმარება გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ თუ კარგად გავაანალიზებთ და გავიაზრებთ, მაშინ მათი გამოყენება აღარ გავგიჭირდება. სასვენი ნიშნების ხმარებას თავისი წესები და პრინციპები აქვს, რასაც პუნქტუაცია ეწოდება. კარგად წერისა და სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებისათვის გარკვეული ცოდნაა საჭირო. ამ რუბრიკით გაგაცნობთ სასვენი ნიშნების დაწერის პრინციპებს. აქვე მოცემული იქნება სავარჯიშოები, რომლებიც სასვენი ნიშნების გარეშეა წარმოდგენილი, თქვენ ისინი უნდა დასვათ, შემდეგ კი დაასაბუთოთ, რატომ გამოიყენეთ ესა თუ ის სასვენი ნიშანი.

ახლა ვნახოთ, რომელი სასვენი ნიშანი რა შემთხვევაში იწერება:

**წერტილი (.)** – იწერება აზრის დასრულების შემდეგ. ჩვეულებრივ, წინადადება დასრულებულ აზრს გადმოსცემს და მის ბოლოს წერტილი იწერება. ერთი წინადადება მეორისაგან წერტილით გამოიყოფა. მაგალითად: **გათენდა. მზე ამოვიდა. ჩიტებმა ჭიკჭიკი დაიწყეს.**

**მძიმე (,)** – იწერება: 1. ერთგვარ წევრებს შორის: **დაბადების დღეზე დავპატიჟე ჩემი მეგობრები, ამხანაგები, მეზობლები, თანაკლასელები.** 2. ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმის გამოსაყოფად: **ჩემი აზრით, მალე უნდა მოვიდეს. სამწუხაროდ, შეხვედრაზე ყველა არ მოვიდა. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ბევრს აინტერესებს.** 3. ერთი წინადადების შემადგენელ

წინადადებათა საზღვარზე: **გიორგი მოვიდა, მაგრამ არაფერი არ მოუტანია. ეს მაშინ მიიხრა, როცა ჩემთან იყო.**

**კითხვის ნიშანი (?)** – იწერება შეკითხვის გამომხატველი წინადადების ბოლოს. მაგალითად: **ვინ მოვიდა? მოვიდა სტუმარი?** კითხვითი წინადადების წარმოთქმა განსხვავდება თხრობითი (ანუ ფაქტის გამომხატველი) წინადადების წარმოთქმისაგან. თუ კითხვით წინადადებაში კითხვის გამომხატველი სიტყვაა, მაშინ მასზე მოდის, თუ არ არის, მაშინ მასზელი ზმნაზეა: **ვინ' მოვიდა? რა' მოიტანა? მოიტანე' წიგნი? უთხარი' სიმართლე?**

**ძახილის ნიშანი (!)** – იწერება ისეთი წინადადების ბოლოს, რომელიც რაიმე გრძნობას (მოწონებას, აღფრთოვანებას, შიშს, აღშფოთებას, დაცინვას, გაოცებას...) გამოხატავს. მაგალითად: **რა ლამაზია! საოცრებაა! ვერ წამოვალ! ეს უსამართლობაა! ყოჩაღ, სწორად მოიქეცი!**

**კითხვა-ძახილის ნიშანი (!?)** – იწერება ისეთი წინადადების ბოლოს, რომელიც კითხვასაც გამოხატავს და რაიმე გრძნობასაც. მაგალითად: **ასე უნდა მოქცეულიყავი?! რამ გაგაგიჟა?! გჯერა, რასაც ის ამბობს?!**

**ორწერტილი (:)** – იწერება დიალოგის წინ. მაგალითად: **გიორგიმ ჰკითხა: – მალე მოხვალ? დედამ უპასუხა: – ცოტა დამაგვიანდება.**

**მრავალწერტილი (...)** – იწერება დაუსრულებელი აზრის ან ჩამონათვალის შემდეგ. მაგალითად: **მე... მე... მოიცა... არ ვიცი, რა გითხრა... – ამბობდა დაბნეული გოგონა. საქართველოში ცხოვრობენ ქართველები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები...**

**ტირე (–)** – 1. იწერება დიალოგებში, ტირეთი გამოიყოფა ერთი მოსაუბრის სიტყვები მეორისაგან. მაგალითად:

– **წიგნი მოიტანე? – ჰკითხა გიორგიმ.**

– **არა, არ მომიტანია, – ჩუმად უპასუხა ნინომ.**

2. გამოტოვებული წევრის ნაცვლად. მაგალითად: **იმ ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე (გამოტოვებულია „მოჰყვა“).**

თუ დიალოგში ჩართულია ავტორის სიტყვები, მაშინ იგი ამგვარად იწერება: **– როგორ არიან შენი მშობლები? – ჰკითხა მოხუცმა ახალგაზრდას. – დიდი ხანია, არ მინახავს.**

**10.** დასვით ტექსტში სასვენი ნიშნები და იმსჯელეთ, რომელი სასვენი ნიშანი სად და რატომ გამოიყენეთ:

ა)

### ერთხელ

ცნობილ ფრანგ მოიგაგარაკეს ლაფონტენს ჩვეულებად ჰქონდა ყოველ დილით შემწვარი ვაშლის ჭამა ერთ დილას ვაშლი შესანვავად ღუმელზე დადო თვითონ კი ბიბლიოთეკაში გავიდა წიგნის მოსატანად ამასობაში მეგობარი ესტუმრა მან ღუმელზე შემწვარი ვაშლი შეამჩნია აიღო და შეჭამა უკან დაბრუნებულმა ლაფონტენმა იკითხა

ვინ შეჭამა ვაშლი

მე არ შემეჭამია უპასუხა მეგობარმა

ოჰ კიდევ კარგი ის ვაშლი დარიშხანით მოვნამლე თავგებისთვის

რას ამბობ მაშ მოვნამლულვარ – აყვირდა სასონარკვეთილი მეგობარი

ნუ გეშინია დამშვიდდი. მე მხოლოდ შენი გამოტეხა მსურდა

ბ)

### შეგონება

ერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა ქალმა გამოჩინილ მწერალს ჯორჯ ბერნარდ შოუს შეკითხვებით თავი მოაბეზრა

მაინც რატომ აქვს ადამიანს ორი ყური და ერთი ენა – არ ეშვებოდა ქალი იმიტომ რომ ბევრი ვისმინოთ და ნაკლები ვილაპარაკოთ მიუგო მწერალმა

ა)

### ამინდის ცვლილებები

მსოფლიოს უდიდესი მომღერალი ენრიკო კარუზო რამდენიმე სპექტაკლის ჩასატარებლად პარიზში ჩავიდა პირველი გამოსვლის შემდეგ გაცივდა და სიმღერა ვეღარ შეძლო ოპერის დირექტორი მღელვარებამ შეიპყრო

აბა რა უნდა ვქნა ვერ გამიგია როგორ მოახერხეთ ზაფხულში გაციება

აგისხნით უთხრა მომღერალმა დარბაზში ჯერ მსმენელთა ტაშმა იფეთქა მერე ოვაციის ქარიშხალი ატყდა საბოლოოდ კი კრიტიკის გულცივობა მოჰყვა განა ეს საკმარისი მიზეზი არ არის

ბ)

### მადიანი პასუხი

სალამო მშვიდობისა ბატონო ბარონო მიესალმა ქუჩაში ერთ ცნობილ პოეტს ნაცნობი საიდან მობრძანდებით

რესტორნიდან

რა მიირთვით

ინდაური

რამდენი იყავით

ორნი

მეორე ვინ იყო

ინდაური

### ლექსიკა – სიტყვები... სიტყვები...

11. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვა და მისი განმარტება:

მრწემი •	• ლაპარაკი, საუბარი, მეტყველება.
ბოგანო •	• მატყლის ან ბამბის ნამწვის სუნი.
დარაია •	• ისრების ჩასაწყობი ბუდე.
კაპარჭი •	• პატარა ხიდი, ჩვეულებრივ ხისა.
ნატუსალი •	• ზოგიერთი ბალახის ეკლიანი ნაყოფი.
ნაზუქი •	• უმცროსი.
კანკელი •	• ღარიბი, ღატაკი, არაფრის მქონე.
ზრახვა •	• აბრეშუმის ქსოვილი.
ბოგირი •	• რძეში მოზეღილი, კვერცხნასამული და თონეში გამომცხვარი პური.
ბირკა •	• ხატებით შემკული, ჩარჩოიანი ტიხარი ეკლესიაში, რომელიც საკურთხეველს დანარჩენი დარბაზიდან გამოყოფს.









### 1. ბულული, თივის ბულული –

„ერთხელ, პატარა რომ ვიყავი, ტყეში ნავედით სასეირნოდ. როცა დავიღალეთ, ამიყვანა და თივის ბულულზე შემსვა. ვიჯექი იმ რბილ ბულულზე და წითელ ვაშლს ვჭამდი“ (რ. ინანიშვილი).

### 2. ტაბიკი –

„ღვინია და კუდვარდა ფერდობზე სძოვდნენ. მივიდა ივანე – მხარზეუღელგადებული, მოლუშული. უღელი ჩამოიღო, რკინის ტაბიკი ამოაძრო, ღვინიას ყურში ხელი ჩაჰკიდა“ (რ. ინანიშვილი).

### 3. გამტკნარდება –

„გამოვარდა სამასნავლებლოდან დირექტორი, ვერ გავექეცი. ნამწვდა ყურში და შემათრია კლასში. მასნავლებელი გამტკნარდა, სულ შუბლზე ისვამდა ხელს“ (რ. ინანიშვილი).

### 4. ტოლალეები –

„ხშირად ვხედავ ხოლმე ცოცხალს. მოდის, აი, ზუსტად ისეთი, მოცინარი, ბათინკები აცვია. კანჭებზე ტოლალეები აქვს დახვეული. ჯდება კიბის თავზე და მუხლებზე იდებს ავტომატს“ (რ. ინანიშვილი).

### 5. ცინიკოსი –

„ერთი სიტყვით, ჯო და დელია უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, სანამ ფული ჰქონდათ. ასე ბედნიერია ყველა... მაგრამ მე არ მინდა ცინიკოსი ვიყო“ (ო'ჰენრი).

### 6. ესკიზი –

„მაჯისტერმა მომიწონა ცა იმ ესკიზში, პარკში რომ დავხატე, – თქვა ჯომ“ (ო'ჰენრი).

### 7. მტკაველი –

#### არშინი –

„კვირის ბოლოს, სინაზით და სიამაყით აღსავსე, თუმცა დაღლილმა, დელიამ სადღესასწაულო იერით დაადგო სამი ხუთდოლარიანი ასიგნაცია რვა მტკაველი სიგანის და ათი მტკაველი სიგრძის მაგიდაზე, რომელიც იდგა რვა არშინის სიგანისა და ათი არშინი სიგრძის სასტუმრო ოთახში“ (ო'ჰენრი).

### 8. ცეცხლფარეში –

„უკვე ორი კვირაა, რაც ცეცხლფარეშად ვმუშაობ ამ სამრეცხაოში“ (ო'ჰენრი).

### 9. ჯუბა –

„დიდ ბიჭს მოკლე, თბილი ჯუბა აცვია.“ (თ. ბიბილური)

### 10. ულაყი –

„ამ, ორში დიდი ბიჭი ულაყით მიჭიხვინობს, პატარა ბიჭი ჯერ ისევ დაუნალავი კვიცივით.“ (თ. ბიბილური)

თქვენი განმარტებები შეუდარეთ კრებულის ბოლოს მოცემული ლექსიკონის განმარტებებს.

## ფრაზეოლოგია

**15.** დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზეოლოგიური გამონათქვამი და მისი მნიშვნელობა, შემდეგ შეავსეთ წინადადებები შესაფერისი გამოთქმებით:

<ul style="list-style-type: none"> <li>• აიტკივებს აუტკივარ თავს</li> <li>• ამ სოფლით გასულა</li> <li>• აიყრის ტანს</li> <li>• აღმაცერად უცქერის</li> <li>• აეშლება ბალანი, თმა</li> <li>• აინუნშიაც არ აგდებს</li> <li>• ალლოს აულებს</li> <li>• ამოიღებს ნიშანში</li> <li>• ამოიძუებს კუდს</li> <li>• ამოიჭრის გულში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეჭვით უყურებს, არ ენდობა.</li> <li>• მოინდომებს, გადანყვეტს.</li> <li>• თოფს დაუმიზნებს.</li> <li>• მიუხვდება, გაუგებს, გაიაზრებს.</li> <li>• გაცვლება იქაურობას, გაიპარება, გაიძურნება შერცხვენილი.</li> <li>• ანგარიშს არ უნევს, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად არ მიაჩნია.</li> <li>• თავს შეინუხებს იმაზე, რაც არ სჭირდება ან არ ეხება.</li> <li>• ელდისაგან, შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგება, ძალიან შეეშინდება, შეძრწუნდება.</li> <li>• გაიზრდება სიმაღლეში.</li> <li>• გარდაცვლილა, მომკვდარა.</li> </ul>
---	--

1. სამხედრო სამსახური ----- (აკაკი)
  2. პანტემ ოხვამესკარის მოვლა-პატრონობა დაივალა. ვინ სთხოვა? რისთვის -----? (ნ წულეისკირი)
  3. „აღსავლის კარებთან ის სამი მეომარი ესვენა: -----.“ (აკაკი)
  4. გაფითრებულ გაბრიელს შიშისაგან -----.
  5. ვაი-თუ ირანის ლომმაც [შაჰ-აბასმაც] იქ -----?!“ (აკაკი)
  6. „ბიჭუნამ გაგულისება ----- და თავისი მაინც განაგრძო.“ (დ. შენგელაია)
  7. „მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. მეც საკმაოდ -----.“ (ა. სულაკაური)
  8. „პეტრე თავიდანვე ----- თეიმურაზს, ჩუმჩუმად ყორანივით დასჩხაოდა.“ (მ. ჯავახიშვილი)
  9. „მღვდელმა ივანემ უფრო გვიან ----- ახალ ცხოვრებას და ანაფორა ჩოხაზე გაცვალა.“ (მ. ჯავახიშვილი)
  10. „გლახუკი გადგა განზე, წამოიჩოქა ცალ მუხლზე და ქორი -----.“ (აკაკი)
- 16.** ამოიწერეთ ფრაზეოლოგიური გამოთქმები და თავად განმარტეთ:
1. არც ვაციე და არც ვაცხელე და საქმის მოგვარება დავიწყე.
  2. არც ფლავი, არც ჩლავი, ისევ ისეა ყველაფერი, როგორც იყო.
  3. სამჯერ მივწერე წერილი, მაგრამ მისგან ბაიბურიც არ ისმის.
  4. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მეც გავიზარდე, ისიც... ერთ დღეს შევხვდი და ვეღარ მიცნო.
  5. „ჩემთვის რა ბედენაა, შენი ჭირიმე, როგორც შენ გინდა“ (ილია).
  6. „ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწრო, შენს შვილებს მაინც წამოენევა და კბილებით დაჭგლეჯს!“ (მ. ჯავახიშვილი).

7. იმ წელს დიდ მოსავალს ელოდნენ და ოჯახის ფეხზე დაყენებასაც ფიქრობდნენ, მაგრამ ბედმა უმუხტოლათ და ისე წავიდა საქმე, რომ ვალს ვალი მიემატა.
8. ჭკვიანად იყავი, ბედისწერას ნუ აუტანიხარ, კარგად გაიაზრე, რას აკეთებ და მერე ისე მოიქეცი!
9. არც კი ვიცი, როგორაა, დილიდან ოთახში ჩაიკეტა და ბოლთას სცემს... არც ის ვიცი, როდემდე იქნება ასე ჩაკეტილი...
10. გამობდა ხანი და პატარა წინილები დიდ მამლებად იქცნენ.

**17.** მოცემული ფრაზეოლოგიზმებიდან ამოარჩიეთ შესაფერისი და შეცვალეთ ხაზგასმული სიტყვა:

გული გადაუტრიალდა	პირში ჩალას გამოავლებს	პირში ბურთს ჩასწრის
გულიდან ამოიგლიჯა	სახტად დარჩა	თვალში მოუვიდა
გული მოუვიდა	ნინ ვერ დაუდგება	გულიდან გადავარდა
		გული მეუბნება

1. როგორც კი დაინახა, მაშინვე მღვწნა ეს გოგო, იმის მერე სულ იმაზე ფიქრობდა.
2. ამ ახალი ამბის გაგონებაზე ალექსანდრე გაოცდა.
3. მარიამს დააფინყდა გუშინდელი დანაპირები და ახლავს მიხვდა.
4. ეგ ისეთი უნამუსოა, კიდევ ბევრ ჩემისთანას მოატყუებს!
5. ეგ რომ საქმეს მოინდომებს, ვერავინ დააბრკოლებს!
6. ვგრძნობ, რომ ეს საქმე არ გამოვა და არ მინდა დანყება.
7. დიდი დრო გავიდა, მაგრამ მისი სახე ვერ დაივინყა.
8. ამ სიტყვების მერე გაბრაზდა და უსიტყვოდ დატოვა ყველა.
9. ისეთი ხმაური ატყდა უცებ, ყველას შეგვემინდა.
10. ყველაფერი უთხარი! მაგას მხოლოდ შენ თუ გააჩუმებ, სხვა ვერაფერს უბედავს!

**18.** შეცვალეთ ფრაზეოლოგიზმი შესაფერისი სიტყვით:

შეემინდა აქებს დატანჯა	გაანებივრა	ულამაზო შეარცხვინა	დაამთავრა	გალანძლა
		მოენონა	დალუპავს	

1. სკოლის დირექტორს მოსწავლეების აზრი ჭკუაში დაუჯდა და მეორე კვირიდანვე სკოლაში ცვლილებები დაიწყო.
2. მასწავლებელს ცამდე აჭყავს ვანო და აი, ტესტში საკმარისი ქულაც კი ვერ მიიღო.
3. ცოცხლად ნუ დაგვმარხავ და შენს თავსაც ნუ დაილუპავ, თორემ მერე არაფერი გვემეველება!
4. ქუჩაში ყვირილი დაიწყო, რა არ გვიძახა, ძირიანად მოგვთხარა, არ ვიცი, რა უნდოდა!
5. მაგისმა საქციელმა ყველა ტალახში ამოგვსვარა!
6. ღამით ისეთი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, ყველას ციფმა ოფლმა დაგვასხა: გვეგონა ქვეყანა დაინგრა!
7. ამ ურთიერთობას ნერტილი უნდა დავუსვა, ძალიან დავილაღე!
8. ეს პატარა ბავშვი მთელმა ოჯახმა თავზე დაისვა, ასე ნამდვილად არ შეიძლება!
9. ამ საქმემ ჯვარს მაცვა, სხვას ველარაფერს ვერ ვაკეთებ და თან ძალიან დამღლეო!
10. ჯოჯოხეთის მაშხალაა და არც ისე ცუდი გარეგნობისა ყოფილა, მომენონა კიდევ ეს ქალი.

## სტილისტური პრობლემები

ამ რუბრიკაში განვიხილავთ სტილისტურ შეცდომებს და მიგითითებთ სწორ ფორმებზე. ეს გამართულად წერაში დაგეხმარებათ.

სტილისტური შეცდომა არის ფორმათა შეუსაბამობით გამოწვეული შეცდომა: შეიძლება, ცალ-ცალკე აღებული ფორმა სწორი იყოს, მაგრამ მათი ერთად გამოყენება შეცდომაა.

### დაიმახსოვრეთ:

შეცდომა	სწორია
1963 წელში	1963 წელს
ამოცანად დაისახა	მიზნად დაისახა
არ მანყობს	ხელს არ მძღლევს
ხიდან მზადდება	ხისგან მზადდება
ატარებს მანქანას	მართავს მანქანას
ატარებს სათვალეს	უკეთია სათვალე
ატარებს ტანსაცმელს	აცვია ტანსაცმელი
ატარებს ქუდს	ახურავს ქუდი
აუტანლად (საშინლად) მინდა	ძალიან მინდა
ბოდიში გადაუხადა	ბოდიში მოუხადა
მადლობა მოუხადა	მადლობა გადაუხადა

**შენიშვნა:** „1963 წელში“ – ეს არ არის ფორმათა შეუსაბამობით გამოწვეული შეცდომა („წელში“ ფორმა არასოდეს არ გამოიყენება), მაგრამ რადგან იგი ხშირად გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში, ამიტომ შევიტანეთ ამ ჩამონათვალში.

### 19. გაასწორეთ სტილისტური შეცდომები:

1. ნანა დაიბადა 1980 წელში, ნიკა კი – 1983 წელში.
2. გიორგიმ ამოცანად დაისახა ინგლისური ენის შესწავლა და მალე ისწავლა კიდევ.
3. მე ხვალ წასვლა არ მანყობს, რადგან ორ დღეში ისევ აქ უნდა ვიყო.
4. მუხის ხიდან კარგი ავეჯი მზადდება.
5. შენ იცი მანქანის ტარება?
6. ზაფხულში მე მზის სათვალეს ვატარებ.
7. სალომე გემოვნებიანი გოგონაა, ყოველთვის ლამაზ ტანსაცმელს ატარებს.
8. როგორ ცხელა! აუტანლად მინდა ნაყინი.
9. ეს კაცი ზამთარ-ზაფხულ ქუდს ატარებს.
10. მე მინდა მადლობა მოუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს.
11. ბოდიში გადაუხადე მასპინძელს შეწუხებისათვის და წავიდეთ!